შეთანხმების ფურცელი

**„საქართველოს და ნატო-ს შორის წერილების გაცვლის გზით დადებული შეთანხმების" პროექტზე (ჩრდილოატლანტიკური საბჭოს გადაწყვეტილება, საქართველოს მიერ ხმელთაშუა ზღვაში საზღვაო ოპერაციებზე მხარდაჭერის აღმოჩენის თაობაზე, რომლებიც ხორციელდება ოპერაცია „Active Endeavou"-ის (OAE) ფორმატში, შეთანხმებული პროცედურების და 2006 წლის 19 ივლისით დათარიღებული წერილის შესაბამისად)**

| | | |
|---|---|---|
| საქართველოს იუსტიციის სამინისტრო | შეთანხმების პროექტის მე-2 პუნქტის (b) ქვეპუნქტში საქართველო გასცემს საქართველოს დროშით მცურავ ეჭვმიტანილ სავაჭრო ხომალდის გემბანზე ასვლის ნებართვას ოპერაციის განხორციელების რაიონში ხომალდის კაპიტნის წინასწარი თანხმობით. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო პრაქტიკისა და გაეროს საზღვაო სამართლის შესახებ 1982 წლის კონვენციის 110-ე მუხლის თანახმად, ამ კონვენციით გათვალისწინებული სამართალდარღვევების შემთხვევაში სავაჭრო გემზე ასვლა არ საჭიროებს გემის კაპიტნის ნებართვას. | ოპერაციის მოდალობების განსაზღვრისას ნატო-მ მიიღო გადაწყვეტილება პარტნიორი ქვეყნების ოპერაციაში ჩართვის შემთხვევაში ამ ქვეყნების დროშით მცურავი გემების შემოწმება მოხდეს მხოლოდ გემის კაპიტნის თანხმობის საფუძველზე. აღნიშნულ ოპერაციაში მონაწილეობს რამდენიმე ნატო-ს არა-წევრი სახელმწიფო, მიზანშეწონილი არ იქნება საქართველომ დაარღვიოს არსებული პროცედურა და მისი დროშით მცურავი გემებისთვის დაწესდეს შემოწმების გამარტივებული რეჟიმი, ანუ შემოწმება მოხდეს გემის კაპიტანთან შეუთანხმებლად. |
| | იაპ დე ჰოოპ სხეფერის მიერ 2008 წლის 18 თებერვლის წერილით შემოთავაზებული შეთანხმების პროექტის ქართულენოვანი თარგმანი შესაბამისობაშია მოსაყვანი წერილის ინგლისურენოვან ტექსტთან. კერძოდ ქართულენოვანი ტექსტის მე-2 პუნქტის (b) ქვეპუნქტის თანახმად სავაჭრო ხომალდის გემბანზე ასვლა ხდება მხოლოდ საქართველოს საკონტაქტო პირის წინასწარი ინფორმირების შემდგომ. ასეთი მოთხოვნა ბატონი სხეფერის წერილის ინგლისურენოვან ტექსტში გათვალისწინებული არ არის. ასევე წერილის ქართულენოვანი ტექსტი მე-2 პუნქტის (c) ქვეპუნქტში აღნიშნული შეთანხმების თარიღად მითითებულია 2004 წლის 12 დეკემბერი, ხოლო ინგლისურენოვან ტექსტში 1994 წლის 14 დეკემბერი. | გათვალისწინებულია |

| | | |
|---|---|---|
| საქართველოს ფინანსთა სამინისტრო | შენიშვნები და წინადადებები არ გააჩნია | |
| საქართველოს თავდაცვის სამინისტრო | შენიშვნები და წინადადებები არ გააჩნია | |
| საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო | შენიშვნები და წინადადებები არ გააჩნია | |